პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 25 თებერვალი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

№ 42 (1037) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელმენი 2—24. განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

# დღეს საქართველოს მუშებისა და გლეხების მენშევიკების ბატონობისაგან განთავისუფლების ხუთი წლის თავია.

## ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ აღადგინა მოშლილი და დანგრეული სახალხო მეურნეობა, გააუმჯობესა მუშებისა და გლეხების მდგომარეობა და სწავლა-განათლების საქმე, ჩამოაყალიბა წითელი არმია და ჩქარი ნაბიჯებით მიექანება წინ, ახალი მიღწევებისაკენ.

**გაუმარჯოს საბჭოების დამყარების 5 წლის თავს საქართველოში!**

**გაუმარჯოს მის ფხიზელ დამცველ წითელ არმიას!**

**გაუმარჯოს მსოფლიო გასაბჭოებას!**

## ხუთი წლის თავი საბჭოთა ხელისუფლებისა საქართველოში.

### საქართველოს ყველა მუშებს, მუშა-ქალებს, გლეხებს, გლეხ-ქალებს და წითელ არმიელებს.

ამხანაგებო! განვლო ხუთმა წელმა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ხუთი წელიწადი ძალიან მოკლე დროა ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში. მაგრამ განვლილი დრო სხვილი და წაუშლელი ასოებით იქნება ამოკვეთილი საქართველოს მუშების და გლეხების ახალ ისტორიაში.

ამ ხუთი წლის წინედ ჩაეყარა საფუძველი საქართველოში მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. ამ ახალ სახელმწიფოს დანიშნულებას შეადგენდა მყვლეფელ კლასების, ე. ი. მემამულეების და კაპიტალისტების სრულიად განდევნა ხალხის მართვა-გამგეობისაგან და აგრეთვე იმათგან მთელი ქონების, ე. ი. მიწების და ქარხანა-ფაბრიკების ჩამორთმევა და მშრომელების: მუშების და გლეხების ხელში გადაცემა.

და აი ამ საფუძველზე უნდა დაწყებულიყო და გაჩაღებულიყო ახალი სახელმწიფოებრივი მუშურ-გლეხური აღმშენებლობა.

საჭიროა მოკლედ ორიოდე სიტყვით ჯამი გავუკეთოთ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას, მის ნამოქმედარს ამ ხნის განმავლობაში.

მყვლეფელი კლასების განდევნა მართვა-გამგეობისაგან და იმათგან მთელი ქონების ჩამორთმევა მშრომელი ხალხის სასარგებლოდ — განხორციელებულ იქნა თავიდანვე. მემამულეები და კაპიტალისტები და იმათი დამქაშები გაძევებული არიან სახელმწიფოს მართვა-გამგეობისაგან და იმათ ადგილას სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ მუშები და გლეხები. ჩამორთმეული მიწები მთლად მშრომელ გლეხკაცობას ანუ მიწის მუშებს გადაეცათ; რაც შეეხება ფაბრიკა-ქარხნებს, რკინის გზებს, მაღაროებს,—ყოველივე ეს გადავიდა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ხელში.

ამას შემდეგ იწყება უკვე საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებითი მუშაობა, როგორც სახალხო მეურნეობის, ისე კულტურულ-განმანათლებელ დარგში.

ამხანაგებო! თქვენ უნდა იცოდეთ, რომ აღმშენებლობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ საქართველოში, რომელიც მეტ ნაწილად გლეხური ქვეყანაა და წარმოების განვითარების მხრით მეტად ჩამორჩენილი, და რომლის მოსახლეობა იმავე დროს აჭრელებულია სხვადასხვა მოდგმის და ეროვნების ხალხით,—ბევრნაირი დაბრკოლება და სიძნელე ელობებოდა წინ.

საჭირო იყო ყველაფრის თავიდან დაწყება, საჭირო იყო სრულიად ახალი სახელმწიფოებრივი დაწესებულებების შექმნა, საჭირო იყო ნივთიერი სახსარის გამოძებნა, საჭირო იყო ნასწავლი ხალხის—მასწავლებლების, აგრონომების, ინჟინრების, ტეხნიკოსების, ექიმების დახმარება, იმათი მიმხრობა. უამისოდ შეუძლებელი ხდებოდა საბჭოეთის შემოქმედებითი და აღმშენებლობითი მუშაობა. თქვენ იცით, თუ რა პირობები იყო ამ მხრივ კერძოდ საბჭოთა საქართველოში, განსაკუთრებით პირველ ხანებში მაინც.

საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ ჰაერი მოწამლული იყო ჩამოგდებული და საზღვარგარედ გაქცეული დემოკრატიული მთავრობის პარტიების და იმათ მომხრეების საზიზღარი და ყოვლად უსინდისო აგიტაციით, პროვოკაციით, სიცრუით და ცილისწამებით. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ხალხის ზოგიერთ ნაწილში ასეთ პროვოკაციას გასავალი ქონდა. მით უფრო, რომ ჯერ იმპერიალისტური ომის გამო და მერე მენშევიკების ბატონობის მეოხებით საქართველოში წარმოება არა თუ არ იზრდებოდა, არამედ სულ უკანუკან მიდიოდა, ამიტომ ხალხის ეკონომიური მდგომარეობა თანდათან დაბლა ეცემოდა, ასე რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ხალხი ჩვენში დიდ გაჭირვებას განიცდიდა, ამას თან დაერთო დიდი მოუსავლიანობა რუსეთში ზედიზედ 1920 და 1921 წლებში, მოუსავლობა ჩვენში 1922 წელს. და საბჭოთა ხელისუფლებას ხომ არ ძალუძდა ერთბაშად ხალხის გამოყვანა ასეთი დიდი გაჭირვებისაგან. ეს ადვილი გასაგები უნდა ყოფილიყო ყველასთვის, მაგრამ მუშების და გლეხების ხელისუფლების მტრები რაღა იქნებოდენ, რომ ამ უბედურებით არ ესარგებლებიათ და არ გამოეყენებიათ ის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი მტრები ხალხს აგონებდენ, რომ ბოლშევიკები დღეს თუ არა ხვალ განდევნილი იქნებიან და საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა. ამნაირად აღდგენილი იქნება ჟორდანიას მთავრობა, მასთან ერთად საქართველოში შემოვლენ უცხოელები, ფრანგები და ინგლისე-



ლები, და ქართველ ხალხს მიაწოდებენ სხვადასხვა საჭირო საქონელსო. ამისთვის ჩვენი მტრები საჭიროდ თვლიდენ საქართველოში „პატარა“ აჯანყების მოწყობას. ასეთი მუხანათური ქადაგებით მენშევიკებმა და იმათ მიმყოლმა პარტიებმა, როგორც იცით, 1924 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოტყუილებით და სიცრუით საქართველოს ზოგიერთ ადგილას ჩაიყოლიეს ხალხის რამოდენიმე ნაწილი და სცადეს საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება. თქვენ იცით, თუ როგორ სამარცხვინოთ დამთავრდა ამ ვაჟბატონების ეს საჯაყი „საქმე“, და მისი სხვანაირი ბოლო შეუძლებელი იყო. როგორც იცით, თვით „აჯანყების“ მეთაურებმაც კი დაგმეს თავისი უსაშინელესი დანაშაული ქართველი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ საქართველოს მუშებს და გლეხებს ეს „აჯანყება“ მაინც მეტად ძვირად დაუჯდათ. თუმცა ერთი კი უნდა ითქვას: ამ „აჯანყებამ“ ბევრს დაუკარგა ყოველივე იმედი საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა, იმდენად მტკიცე და ურყევი შეიქნა ეს ხელისუფლება.

ამხანაგებო! გახსენება ჩვენი მტრების ვერაგული მუშაობის შესახებ საჭიროა აქ, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ის სიძნელე და ის დაბრკოლებანი, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებას თქვენთან ერთად უხდებოდა მუშაობა. მაგრამ საბჭოთა მთავრობას თქვენთან ერთად ერთხელ და სამუდამოთ მიღებული ქონდა და აქვს მტკიცე გარდაწყვეტილება, რომ ყოველივე სიძნელე და ყოველგვარი დაბრკოლებანი დაძლიოს და გადალახოს.

საქართველოს მუშების და გლეხების წარმომადგენლები, რომლებიც სათავეში უდგანან საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას, ამ გადაწყვეტილებას ვერ გადაუხვევდენ და მით უმეტეს ვერ უღალატებდენ.

ამხანაგებო! ჩვენი მუშაობა ორ გვარია: 1) განმტკიცება და გამაგრება ძმური კავშირისა საბჭოთა რესპუბლიკებთან და 2) აღმშენებლობითი მუშაობა. საქართველო დაკავშირებულია ურყევი ძმური კავშირით ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან და აგრეთვე საბჭოთა ყველა რესპუბლიკების კავშირთან. ეს კავშირი თავდებია საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცისა და ნაყოფიერი მუშაობისა.

რაც შეეხება აღმშენებლობითი მუშაობას, ის სწარმოებდა საქართველოში ამ ხუთი წლის განმავლობაში აჩქარებული ნაბიჯით.

**სოფლის, თემის და მაზრის საბჭოების მოწყობა და გაუმჯობესება მუშების და გლეხების ფართო მასების, როგორც მამაკაცების ისე ქალების ჩაბმით საბჭოების, კოოპერატივების, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მუშაობაში. სახალხო განათლების და ჯანმრთელობის** საქმის ფართოდ მოწყობა, რამდენადაც ამას ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა შესაძლებლად ხდიდა; **სოფლის მეურნეობაში ახალი ცვლილებების** შეტანა: **სარწყავი არხების** გაძლიერებული შენება, ჭაობების ამოშრობა, სამეურნეო იარაღების, მაშინების და ტრაქტორების გავრცელება გლეხობაში; **სასოფლო სამეურნეო სესხის** მოწყობა. აბრეშუმის, ჩაის და განსაკუთრებით ბამბის მოყვანის გაძლიერება და გაფართოვება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება გლეხკაცობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყველა ამას თან მოსდევს ქალაქის მრეწველობის ზრდა, გაფართოება მრეწველობის ახალი დარგთა შემოღებით (მაუდის და ბამბის ფაბრიკები და სხ.)

არ შეგვიძლია აქვე თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ საქართველოში ელექტრონული ძალის გამოყენებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მომავალში კიდევ მეტი ექნება სახალხო წარმოების გასაძლიერებლად. ამ მხრით დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ, და იმედი გვაქვს მარტო ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გვექნება 30—40 ათასი ცხენის ძალა ელექტრონული ენერგიის სახით.

და ბოლოს მუშა-მოსამსახურეთათვის სოციალური დაზღვევის საქმის მოწყობა და სხვა და სხვა.

ერთ ჩვენ უდიდეს მიღწევათაგანს შეადგენს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ირგვლივ მცხოვრებ სხვა და სხვა ერებს შორის **მშვიდობიანობის და ძმური ურთიერთობის დამყარება.** ყველა ჩვენგანს ალბად კარგად ახსოვს, თუ რა შუღლი და შეუწყვეტელი განხეთქილება არსებობდა ამ ერებში და თუ რა საშინელ შედეგებს იწვევდა ასეთი მდგომარეობა მშრომელ მასებისთვის. საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ასეთ მდგომარეობას.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! ჩვენ ოდნავაც არ უნდა გავაზვიადოთ ის, თუ რა გაკეთდა ჩვენში ამ ხუთი წლის განმავლობაში. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გაკეთებული ძლიერ ცოტაა იმასთან შედარებით, რაც საჭიროა გაკეთდეს.

მაგრამ საყურადღებოა ის, რომ ამ განვლილი ხუთი წლის განმავლობაში, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა და უდიდეს სიძნელეთა, ჩვენ მაინც შევსძელით მკვიდრი საძირკველი ჩაგვეყარა იმ შენობის ასაგებად, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

ამხანაგებო! ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ მივდიოდით იმ გზით, რომელიც ჩვენ გვიჩვენა და გვიანდერძა ამხ. ლენინმა.

ჩვენ ვივლით ამავე გზით მომავალშიაც. ჩვენ ვსდებთ ფიცს, რომ მტკიცედ და შეუდრეკელად დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლებას, რაც ასე ძვირად უღირს მუშათა კლასს. მწყობრი და მჭიდრო რიგებით მუშებმა და გლეხებმა ხელიხელ ჩაკიდებით განვაგრძოთ ნაყოფიერი და შემოქმედებითი მუშაობა და წინსვლა მილიონ მშრომელი მასების საბედნიეროდ. წინ, წინ, წინ!

გაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის შემოქმედებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფ. მახარაძე.

# საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავისა და წითელი არმიის რვა წლის თავის გამო.

ხუთი წლის წინად, სახელდობრ, 1921 წლის 25 თებერვალს დაიწყო გასაბჭოება მენშევიკურ, — თავად-აზნაურულ საქართველოში. 8 წლის წინად — 1918 წლის 23 თებერვალს მეფის ძველ, გახრწნილ რეგულიარულ არმიის ნანგრევებზე დაწყებულ იქნა ახალი კლასობრივი, მუშურ-გლეხური და მასთან — საბჭოთა ხელისუფლების ინტერნაციონალური რეგულიარული არმიის — ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ჩამოყალიბება.

ამ ორი წლის თავის თარიღები — 25 და 23 თებერვალი თითქმის ერთმანეთს ხვდება. ამ ორ დღესასწაულს საქართველოს მუშები და გლეხები ერთად დღესასწაულობენ.

მაგრამ, რასაკვირველია, წლოთა რიცხვის მიხედვით პირველი შემთხვევა — წითელი არმიის ორგანიზაციის საფუძვლის ჩაყრა უფრო წინად მოხდა და უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს გასაბჭოებაზე. ეს მით უფრო, რომ უკანასკნელის გასაბჭოება მოხდა, სახელდობრ, წითელი არმიის მეოხებით. ამიტომ ჯერ მოკლედ შევეხოთ უკანასკნელს და დავასრულოთ ჩვენი წერილი პირველით, ე. ი. საქართველოს გასაბჭოებით.

**წითელი არმიის პირველი უჯრედი — წითელი გვარდია**

პირველი უჯრედი, ე. ი. უფრო სწორად რომ ვსთქვათ, წითელი არმიის წინაპრები იყვნენ ლენინგრადის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკისა და სხვ. პირველი დაუვიწყარი წითელგვარდიელები. მათ ბრძოლით მოიპოვეს საბჭოთა ძალა-უფლება 1917 წლის ოქტომბერ — ნოემბრის დღეებში.

რამდენადაც ჩვენი საკავშირო კომპარტია ილიჩის მეთაურობით ხელმძღვანელობდა პირველ ძლევამოსილ პროლეტარულ (ოქტომბრის) რევოლიუციას, ლენინგრადისა და მოსკოვის (აგრეთვე ივანოვო-ვოზნესენსკისა და სხვა) მუშათა მებრძოლ ავანგარდს არ შეიძლება, სრულ ამ სიტყვის მნიშვნელობით, ეწოდოს ირრეგულიარული. მაგრამ შედარებით ისინი იყვნენ მცირერიცხოვანნი და არ იყვნენ კარგად გაცნობილი სამხედრო ტეხნიკასა და სტრატეგიას. მათი საშუალებით შეიძლებოდა სიმხნევის „სასწაულების“ მოხდენა და ტიტანიურ ვაჟკაცური თავგანწირულების გამოჩენა.

ადგილობრივ კონტრ-რევოლიუციონურ მემამულეებისა და მდიდრების წინააღმდეგ, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მენშევიკები და ესერები, წითელგვარდიელთა ძალა საკმარისი იქნებოდა. მაგრამ როცა საბჭოთა ქვეყანას გარს შემოერტყა ანტანტის სახით საერთაშორისო იმპერიალიზმი და ცეცხლის რკალში მოამწყვდია ის, მაშინ საჭირო შეიქნა გაყოლოდა არა მარტო ათეული ათასი, თუნდაც გმირები, — არამედ ასეული ათასი და მილიონები მეომრებისა. ამისთვის საჭირო იყო სამხედრო საქმის სპეციური ორგანიზაცია, ორგანიზაცია უზარმაზარი და რეგულიარული, რამდენადაც კი შესაძლებელი იქნებოდა ეს მეფის, ესერების და მენშევიკების მიერ დანგრეულ ქვეყნისთვის.

ძლიერი ტეხნიკისა და გამოცდილ ხელმძღვანელების მქონე იმპერიალისტურ კონტრ-რევოლიუციური ჯარის წინააღმდეგ, მუშურ-გლეხურ ქვეყანას, საბჭოთა რესპუბლიკა უნდა ჰყოლოდა თავისი მრავალრიცხოვანი რეგულიარული არმია და, შეძლებისდაგვარად, სათანადო ტეხნიკით აღჭურვილი სამხედრო საქმის კარგად მცოდნეთა მეთაურობით.

აი, რვა წლის წინად — 1918 წლის თებერვლის დღეებში, წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ გამოცემულ დეკრეტის შინაარსი. და მან ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დანიშნულება. ჩვენმა მუშურ-გლეხურმა, ჭეშმარიტად სახელოვან და გმირულმა წითელმა არმიამ — არმიამ ჩვენი დიდი კავშირის ერთა, უსაშინლეს გაჭირვებაში, როცა მას არ ჰყოფნიდა არც პური, არც ტანსაცმელი, არც იარაღი, — სასტიკად დაამარცხა და განდევნა თავისი ქვეყნის ტერიტორიიდან საერთაშორისო იმპერიალიზმის ყვავ-ყორნები. ეს კიდევ ცოტაა. **რსფსრ-ს** სახელოვანად და გმირულად დაცვის შემდეგ, მთელი ჩვენი კავშირის სხვადასხვა ხალხთა, სხვადასხვა ეროვნებათა მუშებისა და გლეხების გმირული წითელი არმია ჩქარობდა მებრძოლ ძმების მოწოდებაზე, გადადიოდა სულ მოკლე დროში ათას ვერსიან მანძილს მთებსა და ველებს შორის, მურმანსკიდან ურალით ციმბირისკენ, თვით შორეულ აღმოსავლეთისადმი, ბელორუსიისა და უკრაინის გზით — კავკასიაში, და შემდეგ ორენბურგით — ტაშკენტში და სხვადასხვა, რათა დახმარებოდა რევოლიუციის პროლეტარულ რევოლიუციის, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა საქმეს. და ამხნევებდა რა მებრძოლთ, თვითონ საკუთარის სისხლით უპოვებდა მათ თავისუფლებას. აი საიდან შეიქმნა ჩვენი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების [illegible] კავშირი!..

ჩემი მხურვალე სალამი ჩვენს სახელოვან წითელ არმიას მერვე წლის თავზე და წრფელი სურვილი, რომ მეტის ენერგიითა და აღფრთოვანებით წასულიყოს იმავ გზით — დიდი ლენინის გზით და მისწრებოდეს მალე საბჭოთა გარეშე ქვეყნებშიაც იგეთი არმიის შექმნას, როგორიც თვითონაა, რათა ბოლოს და ბოლოს, მათთან ერთად ბოლო მოუღოს გახრწნილ და ძირმომპალ კაპიტალიზმსა და მის თანამედროვე მტაცებლურ და ცინიკურ-მხეცურ ფორმას — რეაქციონურ იმპერიალიზმს. ძირს იგი! გაუმარჯოს საერთაშორისო წითელ არმიას!

**საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავი.**

გადავიდეთ ჩვენი წერილის მეორე მთავარ თემაზე — საქართველოს გასაბჭოების წლის თავზე.

ის მოხდა თებერვლის დღეებში, მაგრამ, სამწუხაროდ, არა 1918, 1919 და არც 1920 წ., არამედ 1921 წელში. მაგრამ — რატომ ასე გვიან? ეს დიდი საკითხია, რომლის დაწვრილებით გარჩევის საშუალება ჩვენ აქ არა გვაქვს.

ვიტყვით მხოლოდ, რომ საქართველო თუმცაღა საზღვრავს ერთის მხრივ საბჭოთა კავკასიას და ამიერ-კავკასიის სხვა ნაწილებს — აზერბეიჯანსა და სომხეთს, მაგრამ მას აქვს გასავალი კიდევ შავი ზღვისკენ (ბათუმი, ფოთი), რომელიც აკავშირებს მას დასავლეთ ევროპასთან.

აი რატომ იყო, რომ იმპერიალისტებმა, მენშევიკების დახმარებით, და ამ უკანასკნელებმა იმპერიალისტების დახმარებით, შესძლეს დიდხანს დამაგრებულიყვნენ აქ მუშებისა და გლეხების ნება-სურვილების წინააღმდეგ. 1917 წლის ბოლოდან, მებრძოლი ქართველი მუშებისა და გლეხების ავანგარდი თითქმის სრულიად უიარაღო და სამხედროდ მოუწყობელი იყო იმპერიალისტებისა და მენშევიკების ძალების წინააღმდეგ, რომლებიც იყვნენ მტკიცე კავშირში ქართველ თავად-აზნაურობისა და კონტრ-რევოლიუციის სხვა ელემენტებთან.

მაგრამ 1921 წლის თებერვლის დღეებში, უკვე საქართველოს მეზობლების — აზერბეიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, დადგა სულ სხვანაირი პოლიტიკური ამინდი, შეიქნა სულ სხვა სიტუაცია. ამ დროს, უკვე როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად გაკოტრებულ ქართველ მენშევიკებს, რომლებიც დაიობლა როგორც იმპერიალისტებმა, ისე მეორე ინტერნაციონალმა და მასთან





ამხ. შ. ელიავა.



ამხ. მ. ორახელაშვილი.

# 5 წლის თავი.

დღეს საქართველოს მუშათა კლასი მშრომელ გლეხობასთან და წითელარმიასთან ერთად ზეიმობს საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავს. დღეს ხუთი წლის შესრულების დროს კომუნისტური პარტია მუშებთან, გლეხებთან და წითელარმიელებთან ერთად გადახედავს ჩატარებულ მუშაობას, რომელიც გაკეთებულა და ყოველდღიურათ კეთდება მშრომელთა საკეთილდღეოთ.

სანამ შევეხებოდე თვით ჩვენს მიღწევებს მანამდე საჭირო იქნება მოკლეთ გავახსენო მკითხველებს მენშევიკების ბატონობის ხანა საქართველოში. რა მისცა მენშევიკებმა მუშებს და გლეხებს? არაფერი, გარდა იმისა, რომ საუკეთესო რევოლიუციონერებს ციხეში ამწყვდევდა და ასახლებდა საქართველოს საზღვრებიდან. შეიძლება პროფესიონალური კავშირების სახით კეთდებოდა რამე? გადაჭრით ვიტყვი, რომ მენშევიკების დროს პროფესიონალურ კავშირებს არც ერთი ეკონომიური საკითხი მუშების სასარგებლოდ არ გადაუჭრიათ. ყველა მუშები, გარდა ორი სამიოდე მენშევიკ ბობოლა ხელმძღვანელებისა, დარჩნენ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც წინათ იყვნენ. მენშევიკებმა ისეთი ნაციონალური ანტაგონიზმი შექმნეს საქართველოში მუშებს შორის, რომ სხვა და სხვა ეროვნების მუშებს დანახვა ეზარებოდათ ერთმანეთის.

ეხლა ვსთქვათ, რა მისცეს მენშევიკებმა გლეხებს? გლეხებს მიყიდეს სახელმწიფო მიწები. მემამულეების მიწები ხელუხლებელი დარჩა. როდესაც აუჯანყდენ მენშევიკების მთავრობას სხვა და სხვა კუთხის გლეხები, ისინი ცეცხლით და მახვილით ბუგავდენ სოფლებს და ხვრეტდენ აჯანყებულ გლეხობას.

უდარიბესი გლეხების აჯანყებები მოხდა: დუშეთის, ლეჩხუმის მაზრებში, სამეგრელოში, გურიაში, ოსეთში, აფხაზეთში და ნაწილობრივ კახეთში. გარდა ამისა მოხდა ომი აზერბეიჯანთან და სომხეთთან. ერთი სიტყვით მენშევიკების ბატონობის დროს სოფლის მშრომელ გლეხობას ერთი წუთითაც არ მოუსვენია. ყოველ წუთში საფრთხე მოელოდა მის ფიზიკურ არსებობას და მეურნეობის აღდგენაზედ გლეხი ნაკლებათ ფიქრობდა.

რა მოხდა გასაბჭოების შემდეგ? ამაზედ პასუხის გაცემა შეუძლია ყველა პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს. გლეხობას გაუნაწილდა თავადებიდან ჩამორთმეული მამულები, სხვა და სხვა სახის კოოპერატივებით მოიფინა მთელი საქართველოს სოფლები, შენდება მთელ რიგ ადგილებში ელექტრონის სადგურები, რომელიც გლეხობას დაეხმარება მეურნეობის ალორძინების საქმეში. მთავრობის დახმარებით რამოდენიმე სარწყავი არხები გაიჭრა და ეხლაც იჭრება გორის და სიღნაღის მაზრაში. მთავრობამ გაიყვანა ოზურგეთის რკინის გზა და გაყავს სამეგრელო-აფხაზეთში; ადგილობრივ გაყავთ საურმე გზები, შენდება სასწავლებლები, თეატრები და სხვა. ერთი სიტყვით დღეს სოფლის მეურნე არ ფიქრობს, რომ მას ხვალ გაუძახებენ სომხებთან, ოსებთან და თათრებთან საომრად, არამედ ის ფიქრობს თავის მეურნეობის გაუმჯობესებაზედ.

ამ ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობამ შექმნა თავის წ. არმიაც, რომელიც რევოლიუციონური მტკიცე შეგნებით იცავს ოქტომბრის მონაპოვარს და საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას. ამას გარდა საბჭოთა მთავრობამ ჯარის მშენებლობის საქმეში გადადგა დიდი ნაბიჯი ტერიტორიალური სისტემის შემოღებით, რომლის შეწყობით ჩვენი ახალგაზრდობა ისე იხდის სამხედრო ბეგარას, რომ თავის მეურნეობას არ მოწყდება და ამავე დროს შენახვაც იაფი უჯდება თვით მთავრობას.

მე მოკლეთ შევეხე ყველა იმ მიღწევებს, რომელიც გაგვიკეთებია. შემდეგში კიდევ უფრო მეტი გასაკეთებელი გვაქვს.

როდესაც ვზეიმობთ ამ ჩვენს მიღწევებს და ყოველ დღიურათ ვამტკიცებთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ძმური დახმარება, რომელიც აღმოგვიჩინა წ. არმიამ საქართველოს გასაბჭოების საქმეში.

ამ ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მუშებთან, გლეხებთან და წითელ არმიელებთან ერთად კ. კ. წ. დროშოვანი არმიის მთელი შემადგენლობა ჩაბმულია ყოველ დღიურ აღმშენებლობაში, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის და გლეხობის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს 5 წელს!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს წ. არმიას!

ს. ლომიძე.

კაუცკიმაც, თითქოს არაფერი დარჩენოდათ იმის მეტი, რომ გონივრულად შერიგებოდენ მათ წინააღმდეგ განუწყვეტლივ, სამი წლის განმავლობაში მებრძოლ საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომლებსაც ვხელმძღვანელობდით ჩვენ—კომუნისტები, და ჩაებარებიათ, თუ არა ძალა-უფლება, თავიანთი პოზიციები მაინც, შეეცვალათ თავიანთი პოლიტიკა, რეჟიმი და ნებაყოფლობით გადასულიყვნენ ქვეყნის მართვა-გამგეობის მუშურ-გლეხურ საბჭოთა სისტემაზე.

მით უფრო ეს ადვილი იყო ტფილისში, და საერთოდ საქართველოში, რომ საქართველოს მუშებისა და მოწინავე გლეხების მასები უკვე გაცნობილი იყვენ საბჭოთა ორგანიზაციებს ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის დღეებში, როცა პირველად შესდგა ყოველგან მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

და ჩვენი გენიალური ბელადი ილიჩიც ამას ურჩევდა მათ, რომ მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ, თუნდაც თავიანთი დამოუკიდებლობის შენახვით, შეეცვალათ ყალბი დემოკრატიული რეჟიმი და ხელი აეღოთ საქართველოს კომუნისტების, რევოლიუციონურ მუშებისა და გლეხების დევნაზე. მაგრამ ქართველი მენშევიკები, ჟორდანიას, ჩხეიძის, წერეთლისა და სხვების მეთაურობით, მორალურ-პოლიტიკურად, და მაშასადამე, მორალურ-ინტელექტუალურად სრულიად გამოიფიტენ და ანგარიში ვერ გაუწიეს საერთაშორისო რთული სიტუაციის ვითარებას. აღ[illegible]იდგენ რა მშრომელთა ინტე[illegible]ების დაცვის თვალსაზრისზე,- [illegible]ქართველ მენშევიკებმა, რომლებიც თამაშობდენ სამშობლოსთვის საქართველოსთვის, თავდადებულ „მებრძოლთა“ როლს—ვეღარ მიხვდენ, რომ დიდი ოქტომბრისა და სამოქალაქო ომების დიდი ბრძოლების შემდეგ ჩრდილოეთში და საქართველოსთან სულ ახლოს—ჩრდილოეთ კავკასიაში, და შემდეგ მის მეზობელ სახელმწიფოებში—აზერბეიჯანსა და სომხეთში,—აღარ შეიძლებოდა მოეტყუებიათ საქართველოს მუშურ-გლეხური ხალხი, მოეტყუებიათ ისეთებიც, რომლებსაც მენშევიკური მთავრობა ღრმად სწამდათ მანამდის...

და აი, ჩაება რა უთანასწორო ბრძოლაში ორი-სამიათასიანი ჯარით, რომელიც შემდგარი იყო გვარდიელებისა და თავად-აზნაურებისაგან, 1921 წლის თებერვლის დღეებში, 2—3 კვირის განმავლობაში, ქართველი მანშევიკები აღგვილ იქნა საქართველოდან და იმპერიალისტურ კონტრრევოლიუციონურ ნადმოსნების მფარველობის ქვეშ ისინი, მცირე ჯგუფად გაიქცენ კონტრრევოლიუციურ დასავლეთ ევროპაში, თავიანთ დამქირავებლებთან.

ქართულ რევოლიუციონურ ხალხის ძლიერება ჩრდილოეთის მუშებისა და გლეხების ძმურ წითელ არმიასთან ერთად [illegible]ნდა აქ მთელი თავისი [illegible]მკარა, გასხივოსნებული სახით.

ჩვენ ვძლიერდებით.

დიდსულოვან გამარჯვებულებმა—საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, დაამყარეს რა თავიანთი ძალა-უფლება, საბჭოთა ხელისუფლება თავის ქვეყანაში, ორი სპეციალური საბუთით აპატიეს მათი წარსული... მაგრამ იმათ, ალბად, შეეშინდათ თავიანთი წარსულის, როცა ისე შეუბრალებლად სდევნიდნენ მშრომელებსა და აჯუყვილებდნენ „თავის“ ხალხს, აღარ დაიჯერეს და წავიდნენ. ჩვენ უთხარით—„საითაც გნებავდეთ! უთქვენოდაც არა გვიშავს რა“...

და როგორც მთელი ქვეყანა ხედავს, მიუხედავათ მათი საქმიანობისა საზღვარ გარეთიდან, მიუხედავათ მათ მიერ 1924 წ. აგვისტოს დღეების მოწყობისა ჩვენში, ჩვენ მივდივართ წინ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების გზით და როგორც პოლიტიკურად, ისე იდეურადაც განუყრელად ვართ გაერთიანებული ჩვენს ძმურ ამიერკავკასიის მეზობლებთან მთლიან ა. კ. ფ. რესპუბლიკებისა და სოციალისტ. საბჭოთა რესპუბლიკების დიად კავშირში. ამასთან ჩვენ ვართ აბსოლიუტურად თავისუფალი, დამოუკიდებელი ჩვენი ენის განვითარებაში, ეროვნულ კულტურაში და სხვა. ხოლო ისინი კი, ე. ი. ქართველ მენშევიკების ბელადები რომლებმაც დაკარგეს ის უმნიშვნელო რაოდენობა მუშების, რომლებიც გაჰყვენ საზღვარგარედ, ლონდონისა და პარიზის ბნელ ჩიხებში მიმართავენ ყველა ჯურის აფერისტებსა და მოჩხუბრებს, რათა ესენი ჩაუსაფრდენ გუშინდელ მათ თანამოაზრეებს, მაგრამ დღეს ცარიელ და უაზრო მენშევიზმის ბურანისაგან გამოფხიზლებულებს, რათა ჩასცენ მათ დანა ზურგიდან. ანდა დაძრწიან სასახლეებში, რათა მეფის კარისკაცებს, ჩემბერლენებსა და სხვებს გამოსთხოვონ ორიოდე გროში სისხლის ღვრების კვლავ მოსაწყობად ჩვენში, რომელთა წარმატებაც, რასაკვირველია, თვითონაც კი არ სწამთ.

თქმა იმის, რომ ისინი კაინები, იუდებია—ეს კიდევ ცოტაა, ეს არაა მართალი და სწორი იმათ—კაინისა და იუდას მიმართ, რომლებიც შექმნა ხალხმა თავის ფანტაზიით შორეულ წარსულში.

ქართულ მენშევიკებთან—რამიშვილ—ჟორდანია—ჩხეიძე და მათ სხვა უმნიშვნელო, ერთ მუჭა მაწანწალეებთან შედარებით, იუდა და კაინი საკმაოდ ნათელი და სიმპატიური პიროვნებებია.

მე ვლაპარაკობ „სიმპატიურობაზე“ და შედარებით, ჩვენი მორალისთვის მისაღებ იუდაზე, რომელმაც (თუნდაც ხალხური ლეგენდის მიხედვით) წინასწარ დაუბრუნა დამქირავებლებს ის 30 ვერცხლი, რამდენადაც ვითომდა მან გაჰყიდა თავისი საყვარელი მასწავლებელი და შემდეგ თავი ჩამოიხრჩო.

ხოლო ქართველ თავად-აზნაურ მენშევიკებს—ჟორდანიას, წერეთელს, ჩხეიძესა და სხვებს არ შეუნანებიათ თავიანთი ცოდვები თვით ქართველი ხალხის წინაშე და არ დაუბრუნებიათ მისთვის ნაძარცვი ქონება, რომელიც გაიტაცეს თან და გაფლანგეს პარიზის, ლონდონისა და ევროპის სხვა ქალაქების კაფე-შანტანებში....

მათ არ შეინანეს ცოდვები და კვლავ განაგრძობენ მოწყალების თხოვნას იმპერიალისტების კარებზე, ჰყიდიან თავიანთ სულსა და ხორცს ბითუმად და წვრილმანად, ექრავებიან გმირულ საქმეებისთვის მანჯურიელ შავრაზმელების ხელმძღვანელ ჩან-ძოლინს.

დეე, ასე იყოს! დეე, დაივიწყოს ისტორიამ მათ შესახებ, ამ პატარა კაცუნების შესახებ, რომლებსაც თავი წარმოუდგენიათ „გმირებად“, რომლებსაც ერთ დროს ეწოდებოდათ ქართველები, და ქართველი სოციალისტებიც კი....

ძირს ყველა ისინი თავიანთი დამქირავებლებით!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ მუშურ-გლეხურ საქართველოს!

გაუმარჯოს მის განუყრელ გაერთიანებას ამიერკავკასიის ძმურ ერებთან მთლიან, ძლიერ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში!

გაუმარჯოს ა. კ. ფ. ს. რ-ს!

გაუმარჯოს ს. ს. რ. კ.-ს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელს—საკავშირო კომპარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ბელადს და აღმოსავლეთის აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის ჩაგრულ ხალხების ხელმძღვანელსა და მხსნელს—კომინტერნს!

გაუმარჯოს კომუნიზმს—მარქსიზმს—ლენინიზმს!

ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.

# სამხედრო პოლიტსკოლის ორი წლის თავი.

## 25 თებერვალი

გასაბჭოების მეხუთე წელზე,—
დღეს, საქართველო, შვებით ნეტარებს;
კოცნად ეხვევა მარჯნის მზეს ყელზე
და, გამარჯვების მძლავრად რეკს ზარებს!

———

თავის თავადი, ანცი მაყარი,—
ამაყ სიმღერით მაღლა ჰშლის ხელებს;
მოდის ახალ თქმით ამონაყარი
და, წითელ დროშის ტრფობა ახელებს! . .

———

თებერვლის ოცდა ხუთზე აება,—
თავისუფლების ყოფნა, ძახილი;
ბრძოლის ველებზე სურს უკვდავება,
და, ძველ დროებას დაჰკრა მახვილი! . .

———

უსაზღვრო არის მისი ჰქნება,—
როგორც ძიება ზე ალმართული;
მიჰქრის რიჟრაჟზე, ელვის ცნება,
და ისმის სიტყვა, ურჩი, ქართული!

ს—ნ.

## ორი წლის თავი.

დღეს, 25 თებერვალს, როდესაც თვითეული მშრომელი ქართველის გული სიხარულით ძგერს საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე, სამხედრო პოლიტ-სკოლა, გაორკეცებული სიხარულით დღესასწაულობს ამ დღეს. დღეს ჩვენი სკოლის არსებობის ორი წლის თავია. ჩვენ ჯამს უკეთებთ განვლილ მუშაობას და ვამბობთ:

„ჩვენ წელს დიდი მიღწევები გვაქვს. ჩვენ გავიზარდეთ, როგორც რაოდენობით, ისე ხარისხობრივადაც“.

თავდაპირველათ სკოლამ მეტად ცუდ პირობებში დაიწყო მუშაობა, მაგრამ სკოლის შემადგენლობის დაუღალავმა ენერგიამ და განსაკუთრებით კურსანტების ენერგიულ მუშაობამ, გადალახა ყველა ეს დაბრკოლებები.

სკოლამ გასული წლის მაისისათვის გამოუშვა სკოლიდან სათანადოთ მომზადებული პოლიტ-მომუშავენი, რიცხვით 39 კაცი.

ერთი წლის განმავლობაში ჩვენი სკოლის მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. ივნისის შუა რიცხვებში სკოლა გადავიდა სამხედრო სკოლების სამმართველოს განკარგულებაში, რითაც ჩვენი სკოლა უზრუნველყოფილია: პროგრამებით, სამოსწავლო გეგმით და რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია სამოსწავლო წიგნების და ნივთების შესაძენ თანხით. ამ მხრივ ჩვენს მუშაობას ეძლევა ნორმალური ხასიათი. ერთი კიდევ ძალიან დიდი წარმატება ჩვენი სკოლისათვის ეს იყო სათანადო ბინის შოვნა. გასულ წელს ჩვენი ბინა არ აკმაყოფილებდა სკოლის მოთხოვნილებებს. დღეს ამ მხრივაც დაკმაყოფილებული ვართ.

ეკონომიურათ უზრუნველყოფა საშუალებას გვაძლევს, რომ ამ მოკლე ხანში გადავიდეთ ლაბორატორიულ სისტემაზე, ამიტომაც ნაწილობრივ უკვე დავიწყეთ სათანადო კაბინეთების მოწყობა.

მოწყობილია პარტ-პოლიტ-საგანმანათლებლო კაბინეთი, ახლო მომავალში მოეწყობა სასროლო კაბინეთი და ასე ამ რიგათ თანდათანობით მომავალ წლიდან გადავალთ სავსებით ლაბორატორიულ სისტემაზე. ამ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგიური პერსონალი სავსებით მომზადებულია თავისი მოვალეობის შესასრულებლათ, კურსანტთა მასსა დიდი ენერგიით ეკიდება საქმეს.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი მუშაობის ერთი ნაკლი: ხდება თეორიული ცოდნის უპრაქტიკოთ შეძენა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად სკოლას გადაწყვეტილი აქვს გამოსაშვები კლასი, შემადგენლობით 29 კაცი, ზაფხულის პერიოდში 1 ნახ. თვით მიაბაროს ნაწილებს სათანადო ხელმძღვანელების თანხლებით პრაქტიკულ მუშაობისათვის.

სკოლაში პარტ-კომკავშირის მუშაობა თანდათანობით წინ მიიწევს და უმჯობესდება.

კლუბი, ეს კომუნისტური აღზრდის ცენტრი, სკოლაში სდგას სათანადო სიმაღლეზე. მას აქვს საკლუბო ოთახი, რომელიც სათანადოთ არის მოწყობილი და ერთი დასასვენებელი ოთახი, სადაც მოწყობილია ლენინის, სროლის და



ფიზკულტურის კუთხეები. ამ დასასვენებელ ოთახში არის სამკითხველო და სხვა და სხვა გასართობები. კლუბს აქვს დაარსებული 8 წრე: დრამატიული, ლიტერატურული, სამხატვრო, მომღერალთა და სხვა, რომელთა მუშაობაც დამაკმაყოფილებელია.

ბიბლიოთეკაც სათანადო ხელმძღვანელობას უწევს კურსანტებს წიგნების მიწოდებაში, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ლიტერატურით ის ძალიან ღარიბია. მიუხედავათ ამისა მიღებულია ზომები—ქართულ ლიტერატურის შეძენისათვის.

ერთი სიტყვით, პირველ წელთან შედარებით სკოლა საგრძნობლათ წინ წავიდა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მოვალეობას, რომელიც სკოლას აქვს დაკისრებული, ის პირნათლად შეასრულებს და საქართველოს გასაბჭოების ყოველ წლის თავზე ისიც იტყვის, რომ ის მტკიცდება, იზრდება და მშრომელი ხალხის წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავს!

გაუმარჯოს სამხედრო პოლიტ-სკოლის ორი წლის თავს და მის წინსვლას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ!

გრ. ნადირაძე.

## ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლის ორი წლის თავზე.

ჩვენი სკოლის დანიშნულება არის ის, რომ მისცეს წითელი ჯარის ნაწილებს სათანადოთ მომზადებულნი პოლიტ-მუშაკნი, მეთაურები. ამ მიზნით სკოლა შეიცავს 3 წლიან ნორმალურ კურსს.

პოლიტ-ხელის მნიშვნელობა წითელ ჯარში დიდია, როგორც წითელარმიელების მასწავლებლის, არა მარტო პოლიტიკურ და საერთო განმანათლებელ დარგში, არამედ სამხედრო საქმეშიდაც, რასაც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენთან. პოლიტ-ხელმა სამხედრო საქმეც კარგად უნდა იცოდეს. ამიტომ სკოლაში თანაბრათ სხვა საგნებთან ერთად გადიან სამხედრო მეცნიერებას.

ამ ორი წლის განმავლობაში სკოლამ შესძლო მთლიანათ იმ იმედების გამართლება, რაც მაზედ იყო დამყარებული. პირველ ხანებში მართალია, სკოლა ძლიერ ნაკლს განიცდიდა, როგორიც არის ბინის, ქართულ ენაზე სამოსწავლო ნივთების, სამოსწავლო კაბინეტების და ბევრი სხვათა უქონლობით, მაგრამ ეს ნაკლი მთელი ასი პროცენტით გამოსწორებულია და სკოლა სდგას ყოველმხრივით თავის სიმაღლეზე. თავის არსებობის პირველ წელში სკოლამ დიდი რამე გააკეთა, მეცადინეობასთან ერთად დაკავშირებით, როგორც არის: სოფლად და მუშებთან პოლიტ-კულტ-განმანათლებელი მუშაობა, დახმარება საშეფო სოფლებზე ეკონომიურათ, კულტურულად და ფიზიკურათ. სკოლამ აგრეთვე მიიღო აქტიური მონაწილეობა მენშევიკური ავანტიურისტების გამოსვლების წინააღმდეგ 24-წელში, რის გამარჯვების ნიშნათ სკოლამ წლის თავზე (25 თებერვალი 25-წელი) მიიღო წითელი დროშა წარწერით: „ზემო სვანეთის მშრომელი ხალხისაგან“. 1925-წელი უფრო აღსანიშნავია სკოლის ისტორიაში, მან მაისის თვეში პირველათ მისცა (გამოუშვა) საუკეთესო მომზადებული 39 პოლიტ-მუშაკნი ჩვენი ძვირფასი ქართულ ნაწილების რიგებს, მათ დღეს დიდი საპასუხისმგებლო ადგილები უკავიათ და მათი მუშაობით ნაწილები კმაყოფილი არიან. დღეს 2-წლის თავზე (25-თებერვალი 26-წელი) ჩვენ თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სკოლის ყოველივე ნაწილი სდგას თავის სიმაღლეზე ყოველ მხრივ როგორიცაა: სამოსწავლო, სამეურნეო, სამნეო ნაწილი და სხვა. სკოლას ამ ჟამათ ყავს საშეფო სოფელი და ქ. ტფილისის მეორე რაიონის წყალსადენის მუშები. პირველთან სკოლას დღემდე აქვს კავშირი, უგზავნის საჭირო ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს, მეორესთან-სკოლა აწარმოებს კულტურულ მუშაობას.

რაც შეეხება ზაფხულის ჩვენი მუშაობის გეგმასთან დაკავშირებით იქნება საბანაკო პერიოდში მოქალაქეების გასამხედროების საქმე და მათთან სროლის პრაქტიკული ვარჯიშის გავლა და სხვა.

2-წლის თავი მით არის ღირსაღსანიშნავი 26—წელში, რომ აგვისტოს თვეებში სკოლა უშვებს ნორმალურ კურს დამთავრებულ 29 პოლიტ-მუშაკებს, რომლებიც სავსებით გაამართლებენ თავიანთ დანიშნულებას.

გაუმარჯოს სკოლის ორი წლის თავს და მომავალი 29 პოლიტხელ-მეთაურების გამოშვების დღეს!

ჯ. ქუთელია

წვეამდელეგო! მეცადინეოგა უკვე დაწყეგულია. დაიჭირეთ კავშირი თქვენს გაზეთთან და მოგვაწოდეთ კორესპონდენციეგი თქვენი ყოფა-ცხოვრეგიდან.

# ავსტრიის მუშათა დელეგაცია ჩვენს ზეიმზე.

დღეს, საქართველოს გასაბჭოების მეხუთე წლის თავის დღესასწაულში, მშრომელთა საერთო ზეიმში მონაწილეობას იღებენ ჩვენი ძვირფასი სტუმრებიც—ავსტრიის მუშათა კლასის წარმომადგენლები. ეს ფაქტი მრავალ მნიშვნელოვანია. რამოდენიმე თვის წინ შეუძლებელი იყო გვეფიქრა, რომ ცოტა ხანში საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საბჭოთა საქართველოში ჩამოვიდოდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია, რომლის უმრავლესობას მუშა-სოციალ-დემ. შეადგენენ. რატომ? იმიტომ, რომ ამ დელეგაციის აქეთ გამომგზავრებას წინ უძღოდა მისი საწინააღმდეგო გაცხარებული აგიტაცია.

ავსტრიის ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის პრესა საშინელებებს უხატავდა დელეგატებს.

მათი გაზეთები სწერდენ, რომ აქ, ჩვენში, მათ უფლება შეზღუდული ექნებათ და იმის მიხედვით, რასაც ისინი აქ ნახავენ ყოვლად შეუძლებელია არსებულის შესახებ სწორი წარმოდგენის მიღება, რადგან მოჩვენებითი წარმოდგენებზე კომუნისტები ხელმარდი არიანო.

სოციალ-დემოკრატიის ბელადები იმ ზომამდიც მივიდნენ, რომ მუშა-დელეგატებს—სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებს პარტიიდან გამორიცხვით დაემუქრენ. მაგრამ პროლეტარულმა სოლიდარობამ და სურვილმა გაეგოთ სინამდვილე მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს შესახებ, სძლია ყოველგვარი დაბრკოლება და ავსტრიის მუშათა დელეგაცია დღეს ჩვენ შორის არის. მათი აქ ყოფნა დღეს, საქართველოს გასაბჭოების მეხუთე წლის თავზე, დიდად მნიშვნელოვანია მით, რომ ავსტრიის მუშა-დელეგატები თავისი თვალით ნახავენ და გაიგებენ სინამდვილეს საქართველოს შესახებ. გაიგებენ თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ის ცილისწამება და ჭორები, რომელსაც უხვად ავრცელებენ საბჭოთა კავშირის და განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოს შესახებ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა.

მშრომელთა დღევანდელი ერთსულოვანი დემონსტრაცია, რომელიც გამოხატულებაა საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების, ღირსეული პასუხია მათ მიმართ, ვინც არამკითხე მზრუნველობას იჩენს ჩვენზე და თავისი გამცემლურ პოლიტიკით ხელს გვიშლის ჩვენ მშვიდობიან შრომის განმტკიცებაში.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია არა პირველი და არა უკანასკნელი წარმომადგენლებია ჩვენში დასავლეთის მუშათა კლასისა. და მიუხედავათ მსოფლიო ბურჟუაზიის და მსოფლიო გამცემლურ სოციალ-დემოკრატიის პროვოკაციისა და ხრიკების,—საბჭოთა კავშირის და დასავლეთის პროლეტარიატის გაერთიანების საქმე სწორ გზაზეა და მათი სრული გაერთიანება ახლო ხანის საქმეა, რაც სრული განადგურებით ემუქრება მსოფლიო ბურჟუაზიას.

ნ. უ.

# უწინ და ახლა

5-თი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საუკუნოების განმავლობაში ტანჯულ საქართველოს მშრომელმა ხალხმა გაინთავისუფლა თავი ათასი ჯურის მბრძანებლებისაგან დაწყებული მეფის რუსეთიდან—გათავებული ქართველ მენშევიკებით. შეუძლებელია შედარება იმისი რაც არსებობდა საქართველოში ხუთი წლის წინად და რაც არსებობს დღეს—მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ბრწყინვალეხანაში.

დღეს ხუთი წლის თავზე მართლაც შეგვიძლია უკვე თამამად ვსთქვათ, რომ საქართველო—ქართველი მშრომელი ხალხის ნება ალსდგა მკვდრეთით და იგიც ჩაება საერთო—საკაცობრიო შრომის განთავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში.

ვის არ ახსოვს ჩვენში რუსეთის მეფის მთავრობის საშინელი გამარუსებელი, მშრომელი ხალხის ძარცვა-რბევის პოლიტიკა, რომელიც სულს გვიხუთავდა და არ გვაძლევდა გასაქანს, ვის არ ახსოვს თუ როგორ, რუსეთის ცივსა და მივარდნილ კუთხეებში, ენის სრულიად უცოდინარი ქართველი მშრომელი ხალხის შვილები უმოწყალოდ იხოცებოდენ სამხედრო ბეგრის მოხდის დროს.

მენშევიკური ბატონობის დროსაც მოწამე შევიქენით მშრომელი ხალხის „სოციალისტებისაგან" უმაგალითო მოტყუების. გლეხი ისევ უმიწწყლო დარჩა. მუშა ისევ უმწეო მდგომარეობაში იყო. მეზობელ ერებთან გამუდმებული ომი. საქართველოს ფიზიკური განადგურების წინაშე ვიდექით. საზოგადოების პარაზიტები ისევ პარპაშებდენ მუშებისა და გლეხების ზურგზე.

დღეს კი სულ სხვისი მოწამენი ვართ: გაბატონებული მშრომელი ხალხის ნება, მოსპობილია მეზობელ ერებთან შუღლი და მშვიდობიანური გზით მათთან ერთად ვეწევით საერთო მიზნისათვის მუშაობას. მიწა—გლეხებს გადაეცათ, ყოველგვარი ზომებია მიღებული ხალხის კულტურულად დაწინაურებისათვის. ჩვენ ვდგევართ ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ და პოლიტიკური სიძლიერის წინსვლის გზაზე.

ყოველივე ეს კი მოგვცა ჩვენ მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ.

გაუმარჯოს ჩვენი განთავისუფლების ხუთი წლის თავს, და გაუმარჯოს ამ თავისუფლების მეზაირახტრეს—კომუნისტურ პარტიას.

სამხედრო ხ. სეფაშვილი.

# ჩვენი საკუთარი ხელით ვსჭედავთ ჩვენს ბედს.

განსაკუთრებით ჩვენთვის არის ძვირფასი, საქართველოს გასაბჭოების მეხუთე წლის თავი, ჩვენთვის მუშებისა და გლეხებისათვის და მათი წრიდან გამოსულ წითელ არმიელებისათვის, რომლებსაც ყველაზე უფრო განგვიცდია მეფისა და მენშევიკების ხელისუფლების მწარე დღეები.

ჩვენთვისაა აშკარა ყველა ის მიღწევები, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ. წერა-კითხვის უცოდინარობისა სალიკვიდაციოთ წარმოებული მუშაობა მშრომელთა ფართო მასებში, აქედან გამომდინარე შედეგები, მუშა-გლეხების ნების გაბატონება, გლეხებზე მიწების გადაცემა, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლება, ათასგვარი წამოწყებები წარმოებისა და სხვათა განვითარების გზით, სწავლა-განათლების საქმე და მრავალი სხვა.

მხოლოდ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას შეეძლო, მხოლოდ მონობისაგან განთავისუფლებულ მშრომელის ნებას შეეძლო ასეთი ამოქმედება.

გასაბჭოებამ ბედნიერება მოუტანა საქართველოს და მის მშრომელ ხალხს. ხუთი წლის თავზე ჩვენი ვალია ერთხელ კიდევ ხმამაღლა გავაცხადოთ ყველას საყურადღებოთ, რომ ჩვენ საკუთარი ხელით ვსჭედავთ ჩვენს ბედს და ამ საქმეში ვერ შეგვაჩერებს ჩვენს წინაღმდეგ მრავალი მტრისაგან გამოწვდილი ხელები.

სამხედრო ნინუაკუთხელი.

# როგორ ვატარებთ დღესასწაულებს.

## 2-ე მესანგრეთა ასეული.

15 თებერვლიდან ჩვენი ასეული თავის შეფ—პოლიგრაფტრესტის მუშებთან ერთად შეუდგა სადღესასწაულო სამზადისს. 18 თებერვალს მოწვეული იქნა 19-ე რუსულ ბატალიონის და 2-ე ქართულ მესანგრე ასეულის გაერთიანებული კრება აღნიშნულ შეფთან ერთად. კრებამ გამოიმუშავა სადღესასწაულო გეგმა, რის შემდეგ დანაწილებული იქნა მოვალეობები. რედკოლეგიამ გამოიმუშავა სპეციალურ სადღესასწაულო ნომრისთვის შესაფერი გეგმა. ლენინის კუთხეებში გამოფენილი იქნა ლიტერატურა, პლაკატები, ჩატარებული იქნა საუბრები დღესასწაულების შესახებ.

23 თებერვალს ასეულში მოწვეული იქნენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს ჩვენი ყაზარმა და გაეცნენ დაწვრილებით ჩვენს ცხოვრებას. საღამოზე კი გაიმართა საზეიმო სხდომა ზემოთ აღნიშნულ ნაწილებისა და ორგანიზაციების. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ერთ ერთი მუშა, რომელმაც პოლიგრაფტრესტის მუშათა სახელით გადასცა წითელ არმიელებს საჩუქარი.

დასასრულ მოხსენებებით გამოვიდენ საბჭოთა საქართველოსა და წითელი არმიის 8 წლის თავის მნიშვნელობის შესახებ. ილაპარაკეს მრავალ ამხანაგებმა. დაიდგა შესაფერი პიესაც.

ჩვენი მადლობა პოლიგრაფტრესტის მუშებს, რომლებიც ყოველმხრივად გვიწევენ დახმარებას და დიდი ყურადღებითაც გვეპყრობიან.

გაუმარჯოს მუშების, მუშა-მოსამსახურეების და წითელ არმიელების მჭიდრო კავშირს.

სამხედრო გ. სიხარულიძე.

# როგორ ვეგებებით დღესასწაულებს.

## (1-ლი ცალკე საკავშირო ასეული.)

დღესასწაულების ღირსეულად ჩასატარებლად ჩვენი ასეული ადრიანად შეუდგა წინასწარ სამზადისს: რედკოლეგიას დაევალა გამოსცეს კედლის გაზეთის საგანგებო ნომერი, რომელიც მიძღვნილი იქნება სპეციალურად საქართველოს 5 წლის თავისა და წითელი არმიის 8 წლის თავის მნიშვნელობის აღსანიშნავად. დრამ-წრეც თავის მხრივ უკვე შეუდგა მუშაობას. დივკლუბში დაიდგმება მომენტის შესაფერი პიესა.

20 თებერვალს ასეულის წითელ-არმიელთა და უფროს-პოლიტშემადგენლობის გაერთიანებულ კრებაზე წინასწარ გაკეთებული იქნა მოხსენება საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავისა და წითელი არმიის 8 წლის თავის მნიშვნელობის შესახებ. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. დასასრულს გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია—წითელი არმიის დაუფასებელი დამსახურება ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის დაცვისა და კერძოთ საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების საქმეში.

ვიგონებთ რა გულის წყრომით საქართველოში მენშევიკურ დიქტატურის 3 ნახ. წლის ბატონობის მთელ საშინელებას, როგორც მშრომელთა ოჯახებიდან გამოსულები, სიხარულით ვეგებებით საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში მთელ რიგ მიღწევებს და ვუსურვებთ, რომ ეს საარაკო აღმშენებლობითი მუშაობა კიდევ უფრო ჩქარი ტემპით წასულიყოს წინ ჩვენი და მთელი მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

სამხედრო ვ. კუნჭულია.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში

**დუშეთის მაზრის** ფასანაურის თემში არჩევნები დასრულდა, სულ აირჩიეს 68 დეპუტატი. აქედან 2 კომუნისტია, 2 კანდიდატი და 2 კომკავშირელი.

**სიღნაღის მაზრის** გურჯაანის სათემო საბჭოში აირჩიეს 97 დეპუტატი. მათ შორის 31 კომუნისტია, და 5 კომკავშირელი.

**შორაპნის მაზრა.** არჩევნები დასრულდა ჭალის თემში. სათემო საბჭოში აირჩიეს 33 წევრი. მათ შორის 9 კომუნისტია, 4 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

**გორის მაზრა.** სურამის სათემო საბჭოში აირჩიეს 111 დეპუტატი. აქედან 20 კომუნისტი, 16 კანდიდატი და 20 კომკავშირელი.

**ლეჩხუმის მაზრა.** ალპანის თემში არჩევნები ჩატარდა განსაკუთრებული სიცხოველით. სათემო საბჭო აირჩიეს 25 კაცის შემადგენლობით.

**ზუგდიდის მაზრის** კოკის სათემო საბჭოში არჩეულ იქნა 35 წარმომადგენელი. აქედან 1 კომუნისტია, 2 კანდიდ[illegible] და 3 კომკავშირელი.

**იმავე მაზრის** ობუჯის სათემო საბჭოში აირჩიეს 25 წარმომადგენელი. მათ შორის 6 კომუნისტია და 1 კანდიდატი.

**ქვალონის** თემის საბჭოში აირჩიეს 37 დეპუტატი. აქედან 1 კომ. 12 კანდიდატი და 4 კომკავშირელი.

# ამიერ-კავკასიის სას.-სამ. გამოფენა.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას საზღვარგარეთ უკანასკნელათ დიდ მნიშვნელობას აძლევენ. მთელ რიგ ფირმებმა გამოსთქვეს სურვილი გამოფენაზე თავიანთ ნაწარმოებთა გამოფენის შესახებ.

გარდა ამისა ევროპის სხვა და სხვა ორგანიზაციებმა, ფირმებმა და მუშათა ორგანიზაციებმა დაადგინეს აღძრან შუამდგომლობა მათი ტფილისში ჩამოსვლის შესახებ გამოფენის დასათვალიერებლათ.

გამოფენაზე ჩამოსასვლელად შუამდგომლობა აღძრა აგრეთვე ამოსავლეთ პრუსიის პრეზიდენტმა—ზირრძა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის წინაშე, გერმანიაში.

გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ამერიკული ფირმები ამერიკიდან. წარმოდგენილი იქნებიან უმთავრესათ სასოფლო-სამეურნეო იარაღების მწარმოებელი ქარხნები.

გამოფენის გახსნა გადადებულია 15 აპრილიდან 1 მაისისათვის. 1-ლ მაისს მუშათა საერთაშორისო დღეს, მოხდება გამოფენაზე ბაირაღის საზეიმო აშვება.

# პასუხი შეკითხვებზე.

**მაუზერს.** ბუხრის ქუდის ტარება შეუძლია საშვალო მეთაურებს სამსახურის გარეშე.

**რამიშვილს.** ლენკუთხის მოწყობის შესახებ მიმართე[illegible] თქვენს სამხედროს.

**მოურავიძეს.** ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

**ურთმელაძეს.** შეგიძლიათ. უნდა მიგიღონ პირველ რიგში, როგორც წ. არმიელი.

**ხარებაშვილს.** უვადო შვებულებაში წახვალთ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

**ნიბლოას.** მუშფაკში რომ შეხვიდეთ ამისთვის საჭიროა, რომ მე-II ე საფეხურის სკოლა გქონდეთ გათავებული.

**კაველიძეს.** როგორც წ. ა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს შეღავათებით სარგებლობთ.

**ჯორბენაძეს.** სამსახურის გათავების შემდეგ პირველ რიგში უნდა მოგეცეთ ადგილი, სადაც ასეთი თავისუფალი აღმოჩნდება.

**მამასახლისს.** იარაღს აძლევენ თანამდებობის მიხედვით. (ბრძანება № 152—25 წ)

**ვ. მ—ას.** ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურებს შვებულება ეძლევათ საშუალო მეთაურებთან ერთად საერთო წესით (ბრ. № 952-25 წ.).

**ბ—ძეს.** სამსახურში ყოფნის დროს ოჯახში მომხდარი ცვლილება არ ანთავისუფლებს წითელ არმ. სამსახურიდან (ბრ. 965-25 წ.).

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ცალკე ცხენოსან ესკადრონის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1. ვათიაშვილს, 2. ვაშან ახშარუმოვს და 3. ჯღარკავა ისაკის.

გთხოვთ ყველას თუ ვინმემ იცით უარყოფითი ზემოხსენებულ ამხანაგებზე, აცნობოთ კომუჯრედს ერთი კვირის განმავლობაში.

ცალკე ცხენოსან ესკადრონის კომუჯრედის მდივანი

ოტიაშვილი.

1-ლ ქ. მ. დ. შტაბის და პოლიტ-განყოფილების კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამავე დივიზიის შტაბის წითელ არმიელ ამხ. სამუელ ალფესის-ძე გაჩეჩილაძეს კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ.

ზემოაღნიშნული კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ ამხ. გაჩეჩილაძეზე რაიმე ცუდი იცით ან საწინააღმდეგო გაქვთ, გვაცნობოთ წერილობით 15 დღის განმავლობაში შემდეგი მისამართით:

ქალ. ქუთაისი 1-ლ ქ. მ. დ. შტაბის და პოლიტგანის კომუჯრედის მდივანს.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუთაისის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი